JEL Classification: E24, R23 https://doi.org/10.35945/gb.2019.08.009

აჭარის მთიანეთის შიგა მიგრაციული გადანაწილების პროცესი თანამედროვე ეტაპზე

ნათელა წიკლაშვილი
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, საქართველო
natia.tsiklashvili@gmail.com

ქეთევან ჭანიძე
ეკონომიკის დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, საქართველო
ketevan.tchanidze@bsu.edu.ge

ზეინაბ სურმანიძე
ეკონომიკის დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, საქართველო
surmanidze@hotmail.com

კვლევა ხორციელდება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროექტის „შიგა მიგრაციის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ზოგიერთ ეკონომიკურ პარამეტრზე (ხულოს მუნიციპალიტეტის მაგალითზე)“ ფარგლებში

საკვანძო სიტყვები: მიგრაცია, უმუშევრობა, ცხოვრების დონე.

ციტირებისთვის: წიკლაშვილი, ნ., ჭანიძე, ქ., სურმანიძე, ზ. (2019). აჭარის მთიანეთის შიგა მიგრაციული გადანაწილების პროცესი თანამედროვე ეტაპზე, *გლობალიზაცია და ბიზნესი, №8*, გვ. 83-89. https://doi.org/10.35945/gb.2019.08.009

ქვეყნის დემოგრაფიულ ბალანსზე უარყოფით გავლენას ახდენს მნიშვნელოვანი დემოგრაფიული პროცესი – შიგა მიგრაცია. იგი შეიძლება იყოს, როგორც ნებაყოფლობითი, ისე იძულებითი. პირველ შემთხვევაში ხდება მოსახლეობის მიგრაცია **სოციალურ–ეკონომიკური** მიზეზების გამო. მეორე შემთხვევაში ადამიანები სტიქიური მოვლენებისა და კონფლიქტების დროს იძულებით ტოვებენ საცხოვრებელს და ქვეყნის შიგნით გადაადგილდებიან (ეკომიგრანტები და იძულებით გადაადგილებული პირები). აღნიშნული პრობლემა შესაძლებელია განვიხილოთ რეგიონულ ჭრილში და გამოვკვეთოთ რიგი ტენდენციები, რომლებიც აქტუალურია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შიგა მიგრაციული პროცესების შესწავლის თვალსაზრისით. ეს ტენდენციებია: ქალაქ ბათუმის მოსახლეობის წილის ზრდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობასთან შედარებით, და ზოგადად, ურბანიზაციის ზრდა. პრობლემას წარმოადგენს იძულებით გადაადგილებული პირებისა და ეკომიგრანტების სრული სოციალურ–ეკონომიკური ინტეგრაცია.

აღნიშნულმა ტენდენციებმა შეიძლება გამოიწვიოს სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება (დეპოპულაცია) – თანდათან მოხდეს ე. წ. ინტელექტის გადინება, რაც, სავარაუდოდ, მოსახლეობის უფრო მოტივირებული და განათლებული ნაწილის სოფლებიდან და პატარა ქალაქებიდან მსხვილ ქალაქებში გადასვლით გამოიხატება. რეგიონების მოსახლეობის რაოდენობის შემცირების ტენდენციის შეჩერება უაღრესად მნიშვნელოვანია დემოგრაფიული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად – როგორც რეგიონების ეკონომიკური განვითარების პოტენციალის გამოყენებისათვის, ისე სახელმწიფო საზღვრის მიმდებარე რეგიონებში მოსახლეობის შენარჩუნებისათვის. ვინაიდან, დიდია შიგა–მიგრაციული ნაკადები, მოსალოდნელია მათი ზრდა. ამან შეიძლება რეგიონებიდან უფრო მეტი მუშახელის გადინება გამოიწვიოს.

ამასთანავე, ისეთი მოწყვლადი ჯგუფების შემთხვევაში, როგორებიც არიან იძულებით გადაადგილებული პირები და ეკომიგრანტები, რომელთა განსახლება ხდება საქართველოს

სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, უნდა მოხდეს მათი წარმატებული ინტეგრაცია/დამკვიდრება განსახლების ადგილებში. ეს ხელს შეუწყობს დემოგრაფიული ბალანსის სრულყოფას, მუშახელის შენარჩუნებას, ემიგრაციის შემცირებას. რადგან გარე და შიგა მიგრაციული პროცესების მიზეზი ძირითადად **ეკონომიკური** ფაქტორებია, მნიშვნელოვანია მათი გაანალიზება უფრო ფართო, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ჭრილში. აქედან გამომდინარე, საჭიროა ისეთი პოლიტიკის განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის მიგრანტების პოტენციალის გამოყენებას და დემოგრაფიული უსაფრთხოების რისკების შემცირებას. ამისათვის აუცილებელია საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ინფორმირებულობის გაზრდა მიგრაციისა და განვითარების ურთიერთკავშირის შესახებ.

როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ქვეყნის შიგა მიგრაციის აღრიცხვა, პოსტსაბჭოთა პერიოდში პრაქტიკულად მოიშალა. მოსახლეობის ქვეყნის შიგნით გადაადგილება საერთოდ აღარ კონტროლდება, შესაბამისად აღნიშნული საკითხი ნაკლებადაა შესწავლილი მეცნიერული კუთხით. მოსახლეობის შიგა მობილობის მართვა, გამოწვეული შეიარაღებული კონფლიქტებით, სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური მიზეზებით, მეტ ყურადღებას საჭიროებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი პოლიტიკის შემუშავება და გატარება, რომელიც წაახალისებს მიგრაციის შედეგად დაგროვილი ადამიანური და ფინანსური რესურსების რეგიონების განვითარების პროცესში ისეთი მდგრადი ეკონომიკური გარემოს შესაქმნელად გამოყენებას, რაც ადგილობრივ მცხოვრებლებს შესაძლებლობას მისცემს, დარჩნენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში და გავლენას მოახდენს ურბანიზაციის/ემიგრაციის ტენდენციებზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის შიგა მიგრაციული პროცესები ნაკლებად არის შესწავლილი. თუმცა მასალები გვხვდება ქართველი დემოგრაფების შრომებში ზოგადი სახით. დემოგრაფიული თვალსაზრისით მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა ერთი მხრივ ასახავს მოსახლეობის ზრდის (კლების) ევოლუციის რეჟიმს წარსულში, მეორეს მხრივ ის გამოდის როგორც დემოგრაფიის სამომავლო განვითარების დამოუკიდებელი კომპონენტი. ამიტომ მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ანალიზის დემოგრაფიული ასპექტი წარმოადგენს თანამედროვე დემოგრაფიული პროცესების მნიშვნელოვან შემადგენელ ელემენტს. საჭიროა ისეთი კანონზომიერების აღმოჩენა-შესწავლა, რომელიც მოსახლეობის დემოგრაფიული სტრუქტურის ცვლილებების შედეგების გამოვლენის საფუძველი იქნება. მიგრაციული, რეგიონალური და გლობალური ეკონომიკური პროცესები მოითხოვს მაქსიმალურად სრულყოფილი სტატისტიკური მონაცემების დამუშავებას. როგორც ერთი მთლიანის ცალკეული რგოლი – საჭიროა შესწავლილი იქნას დასაქმება და ეკონომიკური აქტივობა. ამ ამოცანათა გადაწვეტა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მონაცემთა უტყუარობაზე. ჩვენ აქამდე ცალკეულ მონაცემებს მოსახლეობის ეკონომიკურ-დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ ვიღებდით სტატიტიკის დეპარტამენტიდან, მსოფლიო ბანკისა და სხვა ორგანიზაციებიდან, მაგრამ რეალურთან მიახლოებული პროცესების შეფასებისათვის, აუცილებელად მიგვაჩნია სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის, სქესისა და სოციალური სტატუსის მოსახლეობის გამოკითხვის ჩატარება რომელიც სრულყოფილ წარმოდგენას მოგვცემს მათი ეკონომიკური, სოციალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ, მაშასადამე შევძლებთ დემოგრაფიული სტრუქტურისა და ეკონომიკური მდგომარეობის რაოდენობრივ შეფასებას, ასევე, შიგა მიგრაციული პროცესების თვისობრივი მხარის დადგენას. დამუშავებულია ქართველი მეცნიერების ა. სულაბერიძის, გ. წულაძის, მ. ტუხაშვილის, ა. თოთაძის შრომები. ასევე, საქსტატისა და დამოუკიდებელ შემფასებელთა აღრიცხვის მონაცემები, კერძო ფონდების მასალები და ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევა შეიძლება ითქვას იმ აქტუალური საკითხების თანამედროვე ეტაპის ძიებაა, რომელიც უკვე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი დროიდან აწუხებს ჩვენს ქვეყანას.

შიგა მიგრაციას თავისი მიზეზები გააჩნია, რაც ძირითადად უცვლელია წლების განმავლობაში. ეს შეიძლება იყოს, პირველ რიგში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების სურვილი, ახალი შესაძლებლობების ძიება განათლებისა და დასაქმების თვალსაზრისით, ბოლო წლებში განსაკუთრებით შეიმჩნევა სოფლებიდან ქალაქებში წამოსული მოსახლეობის მაღალი რიცხოვნობა, რაც დაკავშირებულია სოფლის მეურნეობიდან მიღებულ მწირ შემოსავლებთან, ოჯახს თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, განათლების მისაღებად, არ ყოფნის მიწის დამუშავებიდან მიღებული შემოსავალი, ამიტომ ოჯახის ეკონომიკურად აქტიური წევრები სოფლებიდან ქალაქში მოდიან, სადაც ეძებენ შესაფერის სამუშაოს. რითაც კონკურენციაში ხვდებიან შრომის ბაზარზე. სოფლიდან ქალაქში წამოსვლის მიზეზი შესაძლებელია ასევე იყოს ოჯახის გაყოფა. როგორც ცნობილია აჭარის მაღალმთიანეთი ოდითგანვე გამოირჩეოდა მაღალი შობადობით (სამი და მეტი ბავშვი) ხოლო საკარმიდამო ნაკვეთი ხშირად არ არის საკმარისი ოჯახის გასანაწილებლად, რაც სოფლიდან ქალაქში მიგრაციის წინაპირობას ქმნის. გარდა ამისა, მთიანი აჭარისათვის დამახასიათებელია ეკოლოგიური კატასტროფები, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე მიმდინარეობს მეწყრული, ეროზიული პროცესები, რომელთაგანაც განსაკუთრებით აღსანიშნავია 1989 წელს მომხდარი ტრაგედია, რომელსაც მსხვერპლი მოყვა. „დაინგრა ან ცხოვრება შეუძლებელი გახდა 1196 სახლში, დაიკარგა 3250 ჰა მიწა. ამ დროს 2 ათასზე მეტი ოჯახი გაყოფას ექვემდებარებოდა და თხოულობდა დამატებით მიწის ნაკვეთს“ (Putkaradze, 1996:21)

ეკოლოგიური კატასტროფების შედეგად აჭარის მთიანე-

თიდან სხვა რეგიონებში ჩასახლებებმა ორგანიზებული მიგრაციის ფორმა მიიღო. გასული საუკუნის 90–იანი წლების დამლევს ჩასახლებები ძირითადად განხორციელდა ზღვის–პირა აჭარაში, ჯავახეთში, კახეთსა და გურიაში. როგორც გამოკვლევებიდან ჩანს, ზღვისპირა აჭარაში ჩაასახლეს 9,8 ათასი კაცი, ხოლო დანარჩენი საქართველოს სხვა რეგიონებში. როგორც პროფესორი მირიან ტუხაშვილი აღნიშნავს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში აჭარიდან ორგანიზებული ჩასახლების მიზნებს წარმოადგენდა: „ა) არასწორი მიგრაციული პოლიტიკის გამო ლიკვიდაციამდე მისული დასახლებული პუნქტების აღორძინება, ბ) დიდი სასოფლო–სამეურნეო რესურსების მქონე რაიონების ინტენ–სიური ათვისების დაჩქარება, გ) სხვადასხვა რეგიონის ეთნო–ბალანსის სრულყოფა, დ) სტიქიური უბედურების ზონებიდან მოსახლეობის გამოყვანა.“ (Tukhashvili, 1998:138.)

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ პერიოდისათვის ორგანი–ზებულ ჩასახლებებს ჰქონდა კარგი შედეგი, მიუხადავად უკუმიგრაციული პროცესებისა, მიგრანტთა დამკვიდრების მაჩვენებელი იყო კარგი.

როგორც ავღნიშნეთ, მიგრაციის გამომწვევი მიზეზები–დან ძირითადია ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა. სხვადასხვა დროს, სხვადასხვა კერძო ფონდების მიერ ჩა–ტარებული კვლევების შედეგად გაირკვა, რომ ხულოს მო–სახლეობის საქმიანობის ძირითადი სფერო სოფლის მეურ–ნეობაა, მოსახლეობა ძირითადად მეცხოველეობით და სხვადასხვა კულტურით არის დაკავებული. თუმცა, საკმარისი ფინანსური რესურსის არქონის გამო მათთვის პრობლემურია მოყვანილი პროდუქციის რეალიზაცია, ამიტომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება ძირითადად საკუთარი მოხმარებისთვის აქვთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ხულოს მოსახლეობის 50,9 %–ს სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავალი მხოლოდ კვებაზე ჰყოფნის, ხოლო იმ ოჯახების წილი ვინც ძალიან ადვილად იკმაყოფილებს თავის მო–თხოვნილებებს ძალიან მცირეა 1,6 %“. (Problems..2015).

აქედან გამომდინარე მიგრაციის მოტივი მაღალია, ამას თუ დავამატებთ ეკოლოგიური კატასტროფების საშიშრო–ებას, ხულოს სოფლების დაცარიელების მიზეზები საკმარისად სერიოზულია.

აღნიშნული პრობლემების გათვალისწინებით საქართვე–ლოს პარლამენტმა 2015 წლის 16 ივლისს დაამტკიცა **კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ.** ამ კანონის მიზანია მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ–ეკონომიკური პროგრესის სტიმულირებისათვის შეღავათე–ბის განსაზღვრა, რომლებიც უზრუნველყოფს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირთა კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ამაღლებას, დასაქმების ხელშეწყობას, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. კანონი ითვალისწინებს შემდეგ სოციალურ შეღავათებს: დანამატი პენსიაზე, კანონით განსაზღვრული პენსიის 20 %–ის ოდე–ნობით, სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული პირები–სათვის, რომლებიც ანაზღაურებას იღებენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ინიშნება დანამატი – ექიმებისათვის სახელმწიფო პენსიის ორმაგი ოდენობით, ექთნებისათვის სახელმწიფო პენსიის ოდენობით, გათბობის უზრუნველყოფა წელიწადში 6 თვის განმავლობაში, ასევე ყოველთვიურად მოხმარებული ელ. ენერგიის საფასურის 50 %–ით ანაზღაურებას (არაუმეტეს 100 კვტ.სთ) სოციალური დახმარების კატეგორიას მიეკუთ–ვნება აგრეთვე პირველ და მეორე ბავშვზე ყოველთვიური დახმარება 100 ლარის ოდენობით ერთი წლის განმავლობაში, ხოლო მე–2 და მომდევნო ბავშვზე 200 ლარის ოდენობით 2 წლის განმავლობაში. მაღალმთიანი რეგიონების საჯარო სკოლებში დასაქმებული მასწავლებლებისათვის გაიცემა დანამატი ხელფასის 35 %–ის ოდენობით, ხოლო სპეცია–ლური საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დასაქმე–ბული მასწავლებლებისათვის დანამატი განსაზღვრულია 50 %–ით. რაც შეეხება საგადასახადო შეღავათებს მაღალ–მთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირი სარგებ–ლობს საშემოსავლო და ქონების გადასახადთან საგადა–სახადო კოდექსით დადგენილი შეღავათებით. ასევე, მეწარმე სუბიექტი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსი, საქართველოს საგადასახადო კოდექ–სით განსაზღვრული ვადითა და წესით თავისუფლდება გადა–სახადებისგან. (სტატუსის მინიჭებიდან 10 წელი).

„მთის კანონის“ ამოქმედებიდან მე–4 წლის თავზე ჯერ კიდევ არ არის ცნობილი ამ კანონის ეკონომიკური შედეგები, მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კვლევები ძირითადად დაკავშირებულია სოციალური შეღავათების მიღებასთან, მაგრამ ეკონომიკური ეფექტის და მოსახლეობის სოფლად დამაგრების შედეგის თვალსაზრისით, საუბარი ჯერჯერობით რთულია და ჩვენი მომდევნო კვლევის საგანს წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ სოფლების დაცარიელება ამა თუ იმ მიზეზის გამო ყოველთვის იყო განხილვის საგანი, დღის წესრიგში იდგა, როგორც პრობლემა – დემოგრაფიული, ეკონომიკური თვალსაზრისით, მიუხედავად ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული ჩარევებისა, მაღალმთიანი რაიონებიდან ყოველწლიურად მოსახლეობა მაინც მოედი–ნება ქალაქში და ამ პროცესის შეჩერება თითქმის შეუძლე–ბელი ჩანს.

ჩვენ მოვიძიეთ ინფორმაცია სტატისტიკის სამსახური–დან, რომელიც 2014 წელს ჩატარებული საყოველთაო აღწე–რის მონაცემებს ეყრდნობა. მოსახლეობა დაჯგუფებულია სამ ასაკობრივ კატეგორიად: 0–17 წ. ასაკობრივი ჯგუფი, 18–64 წ. ასაკ. ჯგუფი, 65 წელზე ზემოთ ასაკ. ჯგუფი. როგორც ირკვევა, მოსახლეობის საერთო რაოდენობაში ჭარბობს 18–64 ასაკობრივი კატეგორია ანუ სამუშაო აქტივი, თუმცა სამუშაო ადგილების არქონის, ეკონომიკური სიდუხჭირის გამო, სწორედ ეს კატეგორია მოდის სოფლიდან ქალაქში. მოცემული გვაქვს ასევე ხულოდან წამოსული მოსახლეობის განაწილება საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულებზე

კონკრეტულად ამ ერთეულებში შემავალი ელემენტების მიხედვით. საქართველოს მასშტაბით ყველაზე მეტი მიგრანტი ჩასახლებულია აჭარაში, შემდეგ მოდის ქვემო ქართლი, გურია, სამცხე–ჯავახეთი. რაც შეეხება უშუალოდ, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას, აქ ყველაზე დიდი რაოდენობა მოდის ქ. ბათუმზე, შემდეგ ქობულეთი, ხელვაჩაური, შუახევი და ქედა. საქართველოს სხვა დანარჩენ რეგიონში მონაცემები გამოვყავით რაოდენობის მიხედვით ყველაზე მეტი: იმერეთი–ხონი, ვანი. კახეთი – დედოფლისწყარო, ლაგოდეხი. გურია – ოზურგეთი. სამეგრელო ზემო სვანეთი – ხობი, აბაშა. ქვემო ქართლი – წალკა. სამცხე ჯავახეთი – ადიგენი, ახალქალაქი. შიდა ქართლი – ქარელი გორი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხულოს მუნიციპალიტეტში შესული მოსახლეობის რაოდენობა არც თუ ისე დიდია და ძირითადად ისევ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან ხდება შესვლა.

ზემოთ მოყვანილი მონაცემები არის ზოგადი და არ არის დაყოფილი მიზნობრივ ჯგუფებად. ჩვენ გამოვყავით ორი მიზნობრივი ჯგუფი და შევეცადეთ გაგვერკვია თითოეულის ეკონომიკური მდგომარეობა მიგრაციის განხორციელების შემდგომ. პირველი ჯგუფი – იძულებით გადაადგილებული პირები, ანუ ეკომიგრანტები, ხოლო მეორე – ნებაყოფლობით გადაადგილებულები. კვლევის ფარგლებში ჩვენ მივმართეთ ხულოს მუნიციპალიტეტის მერიას და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. მოვითხოვეთ ინფორმაცია ეკომიგრანტებთან დაკავშირებით. ხულოს მუნიციპალიტეტში გვიპასუხეს, რომ მათ არა აქვთ აღნიშნული ინფორმაცია, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ სტატისტიკური მასალა მოგვაწოდა ზოგადი ფორმით, ამიტომ, ვერ მოხერხდა ეკომიგრანტების რეალური ადგილმდებარეობის დადგენა, რათა ჩვენ ადგილზე შეგვძლებოდა მისვლა და მათი გამოკითხვა. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, გვაქვს შემდეგი სტატისტიკური განაწილება:

გრაფიკი 1



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

გრაფიკი 2



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

გრაფიკი 3



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ცხრილიდან ჩანს სულ 2016-2019 წლებში ხულოს მუნიციპალიტეტიდან წამოსულია 111 ოჯახი. თითოეულ ოჯახს გაეწია მატერიალური დახმარება ან დაკმაყოფილდა საცხოვრებელი ფართით. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა სამი მიმართულებით ახორციელებს ეკომიგრანტი ოჯახების დახმარებას, კერძოდ:

1. ჯანდაცვის სამინისტროს „ეკომიგრანტი ოჯახების უსაფრთხო საცხოვრისით უზრუნველყოფის პროგრამა", რომელიც ითვალისწინებს 25000 ლარის ფარგლებში ფინანსურ მხარდაჭერას უსაფრთხო სახლების შესყიდვის მიზნით.

2. ეკომიგრანტის საკუთრებაში არსებულ გეოლოგიურად მდგრადი მიწის ფართზე საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის ფინანსური დახმარების გაწევას.

3. სოციალურ სახლებში საცხოვრებელი ფართების განაწილებას.

„2013 წლიდან დღემდე აჭარის ა/რ მთავრობის მიერ ეკომიგრანტი ოჯახების დახმარებისათვის განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: 109 ოჯახს გაეწია ფინანსური დახმარება 25000 ლარის ფარგლებში საცხოვრებელი ბინების შესყიდვის მიზნით, 2013-2017 წწ დაიხარჯა 570199 ლარი მათ საკუთრებაში არსებული გეოლოგიურად მდგრად ალტერნატიულ ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლების გადატანის მიზნით, ხოლო სოციალურ სახლებში ბინით დაკმაყოფილდა სულ 280 ოჯახი". (აჭარის არ-ის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო).

როგორც ვხედავთ, იძულებით განსახლებულ პირთა დაკმაყოფილება ნამდვილად არის ხელისუფლების მხრიდან ზრუნვის საგანი, დახმარების გაწევის გზებიც დიფერენცირებულია, თუმცა რამდენად ახერხებენ ისინი ახალ საცხოვრებელ ტერიტორიაზე სოციალურ, ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ ადაპტაციას და გრძელვადიან პერიოდში აქვს თუ არა ამგვარი ფორმის მიგრაციას ქვეყნისათვის, რეგიონისათვის დადებითი შედეგი დღევანდელი მძიმე ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, რთული სათქმელია, ამიტომ ამ მიმართულებით კვლევის გაგრძელება მნიშვნელოვნად მიგვაჩნია.

ცხრილი 1. ხულოს მუნიციპალიტეტიდან მიგრირებული ეკომიგრანტი ოჯახების რაოდენობა 2016-2019 წ.წ.

წელი	ბათუმი	ხელვაჩ.	ქობულ.	ხულო	სამტრ.	ჩოხატ.	ლანჩხ.	შუახ.	ოზურ.	ახალც.	სულ
2016	16	2	2	0	0	0	1	0	1	0	22
2017	16	6	2	2	0	0	0	0	2	1	29
2018	28	5	7	2	1	1	1	1	0	0	46
2019	8	1	4	1	0	0	0	0	0	0	14
ჯამი	68	14	15	5	1	1	2	1	3	1	111

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Problems with demography and sociology. Collection of Proceedings. Ilia State University, Institute of Demography and Sociology, [demografiisa da sociologiis problemebi, shromebis krebuli, demografiisa da sociologiis institute] Tbilisi (2015) (In Georgian).
2. Problems with demography and sociology. Collection of Proceedings. Ilia State University, Institute of Demography and Sociology, [demografiisa da sociologiis problemebi, shromebis krebuli, demografiisa da sociologiis institute] Tbilisi, (2017) (In Georgian).
3. Totadze A. (2012) Adjara Population. Publishing house «Universal» [Adjaris mosaxleoba) Tbilisi, (In Georgian).
4. Lortkipanidze V. (1998) Problems of demographic development of historical Meskheti. [istoriuli mesxetis demografiuli ganvitarebis problemebi] Tbilisi (In Georgian).
5. Migration # 1. Migration Research Center, [migraciis kvleviti centri], Tbilisi, (2007) (In Georgian).
6. Migration # 3. Migration Research Center. [migraciis kvleviti centri], Tbilisi (2009) (In Georgian).
7. Georgia Migration Profile 2017, Principal Commission on Migration Issues, [Saqartvelos 2017 wlis migraciis profile, migraciis sakitxta samtavrobo komisia], Tbilisi (In Georgian).
8. «The Attitude of Orthodox Believers in Georgia to Socio-Demographic Behavior and Family Problems». Institute of Demography and Sociology, [Saqartveloshi martmadidebel morwmuneta damokidebuleba socialur-demografiuli qcevisa da ojaxis problemebisadmi] Tbilisi (2016) (In Georgian).
9. Sulaberidze A. (2007) Thoughts on Georgian Family and Demography. Institute of Demography and Sociology of the Ministry of Education and Science of Georgia. [fiqrebi qartul ojaxsa da demografiaze] Tbilisi (In Georgian).
10. Tsuladze G. (2012) Short Encyclopedia Dictionary of Demography. Fund of population UN. [demografiis mokle enciklopediuri leqsikoni] Tbilisi (In Georgian).
11. Tsuladze G. Sulaberidze A. (2016) Demographic Characteristics of Georgian Regions, Ilia State University, Institute of Demography and Sociology, [Saqartvelos regionebis demografiuli taviseburebebi] Tbilisi (In Georgian).
12. Putkaradze T. (1996) Modern migration processes in the Adjara highlands. [tanamedrove migraciuli procesebi Adjaris mtianetshi] Batumi, (In Georgian).
13. Tukhashvili M. (1998). Georgia›s Labor Potential. TSU Publishing House, [Saqartvelos shromiti potenciali] Tbilisi (In Georgian).
14. Market Research of Highlands of Adjara, Institute of Social Research and Analysis, [Adjaris magalmtiani raionebis bazris kvleva] (2016) (In Georgian).
15. Materials of Ministry of Health and Social Affairs of Adjara. [Adjaris janmrtelobisa da socialuri dacvis saministros masalebi] http://adjara.gov.ge/Branches/description.aspx?gtid=547170&gid=3#.XP5mTtIzaUk (In Georgian).
16. Geostat 2017 - National Statistics Office of Georgia.
17. http://www.geostat.ge/

JEL Classification: E24, R23 https://doi.org/10.35945/gb.2019.08.009

THE PROCESS OF INTERNAL MIGRATION OF THE ADJARIAN HIGHLANDS TO THE MODERN STAGE

NATELA TSIKLASHVILI
Doctor of Economics, Professor,
Batumi Shota Rustaveli State University, Georgia
natia.tsiklashvili@gmail.com

KETEVAN CHANIDZE
Doctor of Economics,
Batumi Shota Rustaveli State University, Georgia
ketevan.tchanidze@bsu.edu.ge

ZEINAB SURMANIDZE
Doctor of Economics,
Batumi Shota Rustaveli State University, Georgia
zei-surmanidze@hotmail.com

KEYWORDS: MIGRATION, UNEMPLOYMENT, STANDARD OF LIVING.

For citation: Tsiklashvili, N., Chanidze, K., Surmanidze, Z. (2019). The process of internal migration of the Adjarian Highlands to the modern stage, *Globalization And Business, №8*, pp. 83-89. https://doi.org/10.35945/gb.2019.08.009

SUMMARY

Internal migration is an important demographic process that negatively affects a country›s demographic balance. It can be both voluntary and forced. In the first case, the migration of people from the village to the city is due to socio-economic reasons. In the second case, people are forced to leave their homes and move during natural disasters and conflicts (eco-migrants and displaced persons). The problem can be considered in a regional context and highlight a number of trends that are relevant for the Autonomous Republic of Adjara. The reduction of the population of regions is importance for ensuring demographic security, both for using the potential of economic development and for the population in the regions adjacent to the state border. Since the internal migration flows are large, this can lead to an increase in labor flows from the regions. In addition, in the case of vulnerable groups, such as displaced persons and eco-migrants who live in different municipalities, additional problems arise in terms of integration resettlement. According to experts, the control of internal migration processes was practically destroyed in the post-Soviet period. The movement of the population within the country is no longer controlled; accordingly, the issue is less studied in the scientific direction. Management of internal population flows caused by armed conflict, socio-economic and environmental problems requires more attention from the state. It is especially important to develop and implement policies that encourage the use of accumulated human and financial resources for sustainable development, which will allow local residents to stay in their places of residence. This will affect not only urbanization / emigration trends, but also general macroeconomic indicators, income levels and living standards.